საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-08/22

ქ. ბათუმი 30. 06. 2011 წ.

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საბჭოს არჩევნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-13 მუხლის, რსუ–ს სამეცნიერო ცენტრის დებულების მე–4 და მე–7 მუხლების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. რსუ-ს სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საბჭოს არჩევნები გამართული იქნეს რსუ–ს სამეცნიერო ცენტრის საერთო კრებაზე, 2011 წლის 18 ივლისს, 15 სთ–ზე.

2. სამეცნიერო ცენტრის თითოეული განყოფილებიდან/ლაბორატორიიდან აირჩევა 1 წევრი, ამავე ქვესტრუქტურული ერთეულების მეცნიერ–თანამშრომლების მიერ.

3. სამეცნიერო საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს რსუ–ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35, ოთახი №121), 2011 წლის 4 ივლისიდან 2011 წლის 15 ივლისის ჩათვლით, 10 საათიდან _ 15 საათამდე, გარდა შაბათ–კვირისა.

4. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (C.V);

გ) რსუ–ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ გაცემული ცნობა სამეცნიერო თანამდებობის მითითებით.

5. რსუ–ს საარჩევნო კომისიას დაევალოს რსუ-ს სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საბჭოს არჩევნების ორგანიზება და ჩატარება ამ ბრძანებისა და სამეცნიერო ცენტრის დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6. ბრძანება განთავსდეს რსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი: **ა. ბაკურიძე**